საგრანტო ხელშეკრულება № 081/A13/SR-II

ქ. თბილისი 23 აგვისტო 2013

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ "გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი"** (შემდგომში **"გრანტის გამცემი"**), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ხეთაგურის, სახით და მეორეს მხრივ, **ა(ა)იპ "ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი"** (შემდგომში **"გრანტის მიმღები"** (**„სუბრეციპიენტი"**)), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ლაშა ზაალიშვილის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

გრანტის გამცემი წარმოადგენს „გლობალური ფონდის" გრანტების ძირითად მიმღებს და „გლობალური ფონდთან" გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად შეუძლია გასცეს ქვეგრანტები (შემდგომში გრანტი) სხვა ორგანიზაციებზე, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესასრულებელად. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტი გამოიყოფა "გლობალური ფონდის" პროგრამის (გრანტი No: GEO-H-GPIC) **„საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით"** (შემდგომში **"პროგრამა"**), შესაბამისი კომპონენტის „ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისის მიწოდება (Obj.2, act. 2.1.1- 2.1.8)" (შემდგომში „პროექტი") განსახორციელებლად.

ხელშეკრულების ღირებულება

გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს პროექტის განსახორციელებლად გრანტის სახით გამოუყოფს „გლობალურ ფონდთან" შეთანხმებული ბიუჯეტით განსაზღვრულ ფინანსურ სახსრებს, რომლის მოცულობა შეადგენს **1,038,867.40 (მილიონ ოცდათვრამეტიათასრვაასსამოცდაშვიდი ლარი და 40 თეთრი)** ლარს (შემდგომში **„გრანტის ღირებულება"**).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. წინამდებარე ხელშეკრულება და ხელშეკრულების დანართები, რომლებიც ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად, ერთად ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას.
2. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მათ შორის მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების პირობებს.
3. გრანტის მიმღები იღებს ვალდებულებას განახორციელოს პროექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. გრანტის გამცემი იღებს ვალდებულებას დააფინანსოს გრანტის მიმღები გლობალური ფონდის პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ხარჯებით და შეიძინოს ან/და სარგებლობის უფლებით გადასცეს აქტივები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
5. **ა(ა)იპ "გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი"-ს („გლობალური ფონდის" გრანტების ძირითად მიმღები) და გლობალურ ფონდს შორის** ხელმოწერილი GEO-H-GPIC გრანტის

ე.წ „პროგრამის განხორციელების წერილი №5 (Implementation Letter № 5)“ შესაბამისად გრანტის მიმღებთან („სუბრეციპიენტთან“) გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2013 წლის 01 ივლისიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რომლის შეცვლაც შესაძლებელია მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

“გრანტის გამცემი”

ა(ა)იპ „გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“

მისამართი:
ქ. თბილისი 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. მე-2 ჩიხი #4/8, სართული 9

საბანკო რეკვიზიტები:
სს “საქართველოს ბანკი”
ბ/კ – BAGAGE22
ა/ა – GE57BG0000000894808100

ნინო ხეთაგური
აღმასრულებელი დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი
ბ.ა.

“გრანტის მიმღები”

ა(ა)იპ "ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი"

მისამართი:
იურიდიული: ქ. თბილისი, ნუცუბიძის 1 მ/რ, კორპუსი 7, ბინა 28
ფაქტიური: ქ. თბილისი 0171, პეკინის ქ. 2

საბანკო რეკვიზიტები:
სს “საქართველოს ბანკი”
ბ/კ – BAGAGE22
ა/ა – GE19BG0000000270558300

ლაშა ბაალიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
ბ.ა.

ხელშეკრულების პირობები

1. **მხარეთა ვალდებულებები**

1.1. **გრანტის მიმღები ვალდებულია:**

1.1.1. განახორციელოს პროექტით გათვალისწინებული აქტივობები ხარისხიანად, აქტივობებთან მიმართებაში დადგენილი სტანდარტებისა და გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

1.1.2. ფლობდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის ცალკე საბანკო ანგარიშს კომერციულ ბანკში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ყველა მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო საბანკო სტანდარტებს და მარეგულირებელ ნორმებს, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს;

1.1.3. გრანტის მიმღებმა უნდა აწარმოოს (და უზრუნველყოს, რომ ქვე–კონტრაქტორმა აწარმოოს) საბუღალტრო წიგნები, ჩანაწერები, დოკუმენტები და წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულებანი, რომელშიც დეტალურად ასახული იქნება პროექტთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ყველა დანახარჯი და შემოსავალი („პროექტთან დაკავშირებული წიგნები და ფინანსური ანგარიშები/ჩანაწერები"). გრანტის მიმღებმა უნდა აწარმოოს წიგნები და ჩანაწერები ქვეყანაში აღიარებული საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად (და უზრუნველყოს, რომ ქვე–კონტრაქტორმა აწარმოოს). პროგრამასთან დაკავშირებული წიგნები და ჩანაწერები უნდა ინახებოდეს გრანტის მიმღებთან (ასევე ქვე-კონტრაქტორებთან) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, ბოლო გადახდის თარიღიდან მინიმუმ შვიდი წლის განმავლობაში, ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში, რომელიც საჭირო იქნება ნებისმიერი პრეტენზიის ან აუდიტის შედეგად გამოვლენილი შედეგების გამოსასწორებლად, ან თუ ამას მოითხოვს გლობალური ფონდი/გრანტის გამცემი;

1.1.4. წარმოადგინოს გლობალურ ფონდთან შეთანხმებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად მომსახურების გასაწევად შესაძენი აქტივების ჩამონათვალი, მათი ზუსტი ტექნიკური მახასიათებლების გაწერით (დანართი #5);

1.1.5. გრანტის გამცემისგან, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბაროს აქტივები (დანართი N4 და დანართი 5), უზრუნველყოს აქტივების დაცვა/უსაფრთხოება, გასწიოს მათი მოვლისთვის/ექსპლუატაციისთვის საჭირო გონივრული ხარჯები და უზრუნველყოს აქტივების საექსპლუატაციო პირობების სრული დაცვა, იქონიოს (და უზრუნველყოს, რომ ქვე–კონტრაქტორებმა იქონიონ) გრანტის თანხებით შესყიდული ყველა სახარჯი მასალის ხარჯვის ჩანაწერები;

1.1.6. არაადექვატური ექსპლუატაციით და/ან დაკარგვით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, აუნაზღაუროს გრანტის გამცემს მიყენებული მატერიალური ზარალი;

1.1.7. გამოიყენოს აქტივები მხოლოდ საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის;

1.1.8. არ გადასცეს აქტივები მესამე პირს, გარდა იმ ქვე-კონტრაქტორებისა, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით, და რომელთანაც ურთიერთობები რეგულირდება მე-11 მუხლით.

1.1.9. გრანტის მიმღებმა ყველა ღონე უნდა იხმაროს იმის საგარანტიოდ, რომ მიღწეული იქნება გრანტის თანხებით შესყიდული საქონლის ოპტიმალური საიმედოობა, ეფექტურობა და უსაფრთხოება მიწოდების ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე;

1.1.10. დროულად აცნობოს გრანტის გამცემს ნებისმიერი ნაკლი ან/და ხარვეზი, რომელიც გამომჟღავნდება აქტივების ადექვატური ექსპლუატაციის შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები შეგნებულად არ უმხელს გრანტის გამცემს აქტივების შეძენილ ნაკლს ან/და ხარვეზს, მაშინ გრანტის მიმღები ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს გრანტის გამცემს მიყენებული ზარალი;

1.1.11. გრანტის მიმღები პასუხისმგებელია გრანტის თანხებით შესყიდული ყველა და ნებისმიერი საქონლის (მათ შორის ქვეკონტრაქტორისთვის გადაცემული) დაკარგვაზე ან ქურდობასა ან დაზიანებაზე, და ასეთი დაკარგვის, ქურდობის ან დაზიანებისთანავე უნდა შეცვალოს ასეთი საქონელი თავისი ხარჯით;

1.1.12. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში და წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, უპირობოდ დაუბრუნოს გრანტის გამცემს სარგებლობაში გადაცემული აქტივები და გაუხარჯავი სახარჯი მასალა. აქტივები დააბრუნოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში და გააფორმოს აქტივების დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტი;

1.1.13. მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების, ან აქტივების გამოყენება ძალადობის და/ან ტერორიზმის მიზნებისთვის ან ფულის გათეთრების საქმიანობების მხარდასაჭერად, და/ან იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც მხილებულნი არიან ტერორიზმის ან ფულის გათეთრების საქმიანობაში;

1.1.14. გრანტის მიმღები ვალდებულია დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და განთავსებული გლობალური ფონდის ვებ. გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/library/guidelinestools/) „ქცევის კოდექსი გლობალური ფონდის სახსრების რეციპიენტებისთვის" და უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვე-კონტრაქტორებისთვის;

1.1.15. გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ მან და მისმა ქვე-კონტრაქტორებმა გლობალური ფონდის, მათ შორის გენერალური ინსპექტორის კაბინეტის წარმომადგენლებს და გლობალური ფონდის მიერ უფლებამოსილ მესამე მხარეს მისცენ შეუზღუდავი წვდომის უფლება შემდეგზე: (ა) საბუღალტრო წიგნები, ჩანაწერები, დოკუმენტები და წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულებანი (ფინანსური და პროგრამული), რომელსაც გრანტის მიმღები აწარმოებს პროგრამასთან დაკავშირებით; (ბ) გრანტის მიმღების და ყველა ქვე-კონტრაქტორის შენობა-ნაგებობები, სადაც პროგრამასთან დაკავშირებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები ინახება და/ან პროგრამული აქტივობები ხორციელდება ან ხორციელდებოდა; (გ) გრანტის მიმღების და მისი ქვე-კონტრაქტორების პერსონალი. გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ქვე-კონტრაქტორთან დადებული

ხელშეკრულება შეიცავდეს ამ პუნქტში განსაზღვრულ შეუზღუდავი წვდომის უფლებას. შეუზღუდავი წვდომის უფლების დარღვევა ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევას ნიშნავს.

1.2. **გრანტის გამცემი ვალდებულია:**

1.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, დაფინანსების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, გასცეს თანხები გრანტის მიმღებზე პროექტის ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.2.2. უზრუნველყოს გრანტის მიმღები ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივებით (დანართი N4);

1.2.3. უზრუნველყოს გრანტის მიმღების დროული ინფორმირება გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე. ამავე დროს გრანტის გამცემი არ არის ვალდებული წარუდგინოს გრანტის მიმღებს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს გრანტის გამცემის მიერ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი/უფლებამოსილი პირი. მომსახურების კონტროლი განხორციელდება:

2.1.1. ყოველთვიურად გრანტის მიმღების მიერ გრანტის გამცემისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე;

2.1.2. მინიმუმ კვარტალში ერთხელ, პროგრამულ/ფინანსური მონიტორინგის ადგილზე ვიზიტის საფუძველზე (როგორც გრანტის მიმღებთან ასევე მის ქვეკონტრაქტორებთან).

2.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი/ჯგუფი ვალდებულია წერილობით დააფიქსიროს და აცნობოს გრანტის მიმღებს მონიტორინგის შედეგები.

2.3 გრანტის მიმღები ვალდებულია უმოკლეს ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, მათი არსებობის შემთხვევაში.

2.4 გრანტის გამცემს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი გრანტის მიმღების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3. პროექტი განხორციელების პირობები (გეგმა - გრაფიკი)

3.1 პროექტი ხორციელდება შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. აუცილებლობლობის შემთხვევაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ გეგმა-გრაფიკის შესრულების საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

4. დაზღვევა

4.1 გრანტის მიმღებმა გონივრულ ფასად უნდა უზრუნველყოს, გრანტის გამცემის სასარგებლოდ, დანართები N4 და N5 შესაბამისად გადაცემული ყველა სარისკო აქტივების დაზღვევა და საერთო ყოვლისმომცველი პასუხისმგებლობის დაზღვევა კარგი რეპუტაციის მქონე, სტაბილურ სადაზღვევო კომპანიებში. დაზღვევის არ არსებობის შემთხვევაში, გადაცემულ აქტივებზე პასუხისმგებლობა ეკისრება გრანტის მიმღებს.

5. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1 გრანტის მიმღები გრანტის გამცემს, დადგენილი ფორმით (დანართი N1, დანართი N2), მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშს ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ (პროგრამის შედეგების შესახებ ზუსტი ანგარიშები), რომელსაც თან უნდა ახლდეს ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის ასლი. ანგარიში გრანტის გამცემს წარედგინება როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე;

5.2 შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება ამ მუხლის 5.1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისა და ხელშეკრულების პირობებთან მისი შესაბამისობის დადასტურების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი N3) გაფორმებით;

5.3 გრანტის გამცემი უფლებამოსილია შეცვალოს ინფორმაციის წარმოდგენისა და ანგარიშგების ფორმები, რის შესახებაც 30 დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს გრანტის მიმღებს;

5.4 გარდა ამ მუხლის 5.1 პუნქტში აღწერილი ანგარიშისა, გრანტის გამცემის მოთხოვნის საფუძველზე კვარტალში (სამ თვეში) ერთხელ, გრანტის მიმღები გრანტის გამცემს წარუდგენს პროგრამულ ანგარიშს ქართულ და ინგლისურ ენაზე მხარეებს შორის შეთანხმებული ფორმატის მიხედვით (დანართი 1ა);

5.5 გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტის დედანი (ხოლო ქვეკონტრაქტორებისგან მიღებული დოკუმენტაციის ასლი) სავალდებულოა ინახებოდეს გრანტის მიმღებთან (ქვეკონტრაქტორებთან უნდა ინახებოდეს მათ მიერ გრანტის მიმღებისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის დედანი) და მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინოს გრანტის გამცემს.

6. სტანდარტები

6.1 გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის განხორციელებისას იხელმძღვანელოს საერთაშორისოდ აღიარებული და/ან ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;

6.2 გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის გამცემის მიერ შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს არაჯეროვნად შესრულებული აქტივობების ან მისი ნაწილის გამოსწორება გრანტის გამცემის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6.3 გრანტის მიმღების მიერ, 6.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის გამცემს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და დააკავოს შესაბამისი ხარჯები ხელშეკრულების თანხიდან.

7. **პროექტის თანხები**

7.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1,038,867.40 (მილიონ ოცდათვრამეტიათას რვაასსამოცდაშვიდი ლარი და 40 თეთრი)** ლარს, რომლის პარამეტრები წარმოდგენილია დანართი #6-ში;

7.2 გრანტის მიმღები, პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებისას გამოიყენებს დანართ N4 -ში ჩამოთვლილ გრანტის გამცემის საკუთრებაში არსებულ აქტივებს. ამასთან, გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს დამატებით უზრუნველყოფს მომსახურების გასაწევად აუცილებელი აქტივებით (დანართი #5), საერთო ზღვრული ღირებულებით **227,871,11 ლარი (ორასოცდაშვიდიათას რვაასსამოცდათერთმეტი ლარი და 11 თეთრი)**. თუ შესყიდვის პროცესში გრანტის მიმღების მიერ პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი აქტივების ღირებულება აღემატება ზემოაღნიშნულ ზღვრულ თანხას, გრანტის გამცემი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთან შეთანხმებით შეიტანოს კორექტირება შესასყიდი აქტივების ჩამონათვალში, რომელიც აღწერილია დანართი #5-ში. ამ შემთხვევაში განხორციელებული კორექტირება არ ჩაითვლება გრანტის მიმღების მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არშესრულების, ან არასრული მოცულობით შესრულების საფუძვლად;

7.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე (ხელშეკრულების დანართის სახით);

7.4 გრანტის თანხები გრანტის მიმღებზე გაიცემა საბანკო გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში (ლარი);

7.5 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უწყვეტობის მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისა და 1.1.2 პუნქტში აღნიშნული ვალდებულების შესრულების შემდეგ, გრანტის გამცემი გრანტის მიმღების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (დანართი 2 , ფორმა 4ა) გასცემს პროექტის პირველი ორი თვის ბიუჯეტის ექვივალენტ ავანსს;

7.6 გრანტის გამცემის მიერ გრანტის ყოველი მომდევნო გადარიცხვა (არაუმენტეს გრანტის 2 თვის ბიუჯეტისა) განხორციელდება გრანტის მიმღების წერილობითი მოთხოვნის და ხელშეკრულების პირობების მე-5 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.7 გრანტის თანხების პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების გარდა სხვა მიზნით გამოყენება (თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში) დაუშვებელია. მკაცრად იკრძალება ნებისმიერი საშუალებით გრანტის თანხების გადარიცხვა, გადახდა, გადაცემა ან კონვერტაცია: (ა) მესამე მხარესთვის, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პროგრამის და ამ ხელშეკრულების განხორციელებასთან; (ბ) აქტივობებისთვის, რომლებიც პროგრამის უშუალო მხარდაჭერას არ უკავშირდება;

7.8 გრანტის გამცემს შეუძლია გამოიყენოს ამ ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეზღუდვების გამოყენების უფლება გრანტის თანხების ნებისმიერი ტრანზაქციის შემთხვევაში, რომელიც ამ ხელშეკრულების 1.1.8 ან 7.7 მუხლების პირობების დარღვევით შესრულდება (შემდგომში „არასანქცირებული ტრანზაქცია“);

7.9 გრანტის მიმღებს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა, ფინანსური და სხვა, არასანქცირებული ტრანზაქციით გამოწვეულ ზარალზე, და უნდა აუნაზღაუროს გრანტის გამცემს არასანქცირებული ტრანზაქციით გამოწვეული ზარალის ან მიღებული შემოსავლის ოდენობა.

8. გადასახადები

8.1 გრანტის მიმღები პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 გრანტის გამცემის მიერ შესაძლებელია ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ცვლილებები „გლობალური ფონდის" მოთხოვნების შესაბამისად;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს გრანტის გამცემი არ არის ვალდებული წარუდგინოს გრანტის მიმღებს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 გრანტის მიმღებს არა აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი, გარდა ქვეკონტრაქტორისა.

11. გრანტის მიმღების („სუბრეციპიენტის") ქვე კონტრაქტორი („სუბ–სუბრეციპინეტი")

11.1 „სუბ–სუბრეციპიენტი" ნიშნავს გრანტის მიმღების ქვე–კონტრაქტორ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას;

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა ხელშეკრულება გრანტის მიმღებსა და მის ქვე–კონტრაქტორს შორის უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით და უნდა ითვალისწინებდეს ამ ხელშეკრულების ყველა მუხლში გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

11.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოიშობა ახალ ქვე–კონტრაქტორთან ხელშეკრულების დადების და/ან ქვე–კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა, გრანტის მიმღებმა წერილობით უნდა აცნობოს გრანტის გამცემს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა;

11.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ქვე–კონტრაქტორთან დადებული ყველა ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს გრანტის გამცემს;

11.5 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ქვე–კონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც ერთი ვალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს გრანტის მიმღებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 გრანტის მიმღების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული პირობებისა, გრანტის გამცემი უფლებამოსილია მისცეს გრანტის მიმღებს დამატებითი ვადა ან/და გამოიყენოს სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების და დამატებითი ვადის დარღვევის შემთხვევაში, გრანტის გამცემი უფლებამოსილია დააკავოს თანხა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე საანგარიშო თვეში გაწეული მომსახურების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

13.3 გრანტის მიმღების მიერ ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან/და არასრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, გრანტის გამცემი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღნიშნული ღონისძიებების (ან მისი ნაწილის) მიღებაზე და დაუკავოს გრანტის მიმღებს შესაბამისი თანხები.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 გრანტის გამცემს გრანტის მიმღებისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შეუძლია შეწყვიტოს ან შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გრანტის მიმღები ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ შეწყდა ან შეჩერდა, ძალაში უნდა დარჩეს;

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს გრანტის მიმღებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რომელიმე მხარის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, დონორის დაფინანსების მკვეთრი შემცირებით ან შეწყვეტით და სხვა.

15.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის დადებული ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

8.2 თუ ასეთი მოლაპარაკების განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, მხარეებს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. დამატებითი პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება გრანტის გამცემთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება გრანტის მიმღებთან;

17.2 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის გახორციელდება წერილობითი ფორმით ქართულ ენაზე.

18. აუდიტი

18.1 გრანტის გამცემი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შეფასების და შესაბამისი თანხების ხარჯვის კონტროლის მიზნით უფლებამოსილია განახორციელოს გრანტის მიმღების და მისი ქვეკონტრაქტორის აუდიტი და/ან ფინანსური შემოწმება, სასამართლო აუდიტი ან შეფასება, ან განახორციელოს სხვა ქმედება, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს პროექტის მსვლელობის დროს;

18.2 გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის გამცემის მიერ შერჩეული აუდიტორული კომპანია უზრუნველყოს შესაბამისი პირობებით, რათა მან, წელიწადში ერთხელ, განახორციელოს პროექტის ფარგლებში გრანტის გამცემისგან მიღებული დაფინანსების და გაწეული დანახარჯების, გრანტის გამცემისგან მიღებული მატერიალური ფასეულობების და მარაგების ხარჯვის აუდიტი.

<u>ხელშეკრულების დანართები:</u>

ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები, რომლებიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია:

1) დანართი N1 ა (შესრულებული სამუშაოების სიტყვიერი ანგარიშის ფორმა);
2) დანართი N1 ბ (პროგრამული ინდიკატორების ანგარიშის ფორმა);
3) დანართი N2 (ფორმა N1 - ყოველთვიური ხარჯების ჩამონათვალი, ფორმა N2 - ფინანსური ანგარიში, ფორმა N3ა - სახარჯი მასალების აღრიცხვის ფორმა, ფორმა N3ბ - საწვავის ხარჯვის აღრიცხვის ფორმა, ფორმა N4 ა/ბ -თანხის მოთხოვნა, ფორმა N 4 გ - საწვავის მოთხოვნა, ფორმა N5 - ხარჯების ფინანსური აღრიცხვა კატეგორიების მიხედვით);
4) დანართი N3 (შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი);
5) დანართი N4 (დროებით სარგებლობაში გადაცემული აქტივების ინვენტარიზაცია);
6) დანართი N5 (შესასყიდი აქტივები);
7) დანართი N6 (პროექტის ბიუჯეტი);
8) დანართი N7 გლობალური ფონდის გრანტი № GEO-H-GPIC მიხედვით შედგენილი პროექტი;
9) დანართი N8 პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი;
10) დანართი N9 პროგრამული შესრულების ჩარჩო (Performance Framework);
11) დანართი N10 მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო;
12) დანართი N11 ქცევის კოდექსი გლობალური ფონდის სახსრების რეციპიენტებისთვის.